პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 27 მაისი, 1949 წ. № 104 (8407). ფასი 20 კაპ.

ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები მტკიცედ მოითხოვენ, რომ უახლოეს სამ წელიწადში ხორცის, ქონის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხის, ტყავის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების მოცულობა გადიდებულ იქნას სულ ცოტა ერთნახევარჯერ-ორჯერ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება—ახალი ამოცანების დონეზე!

დღეს „პრავდა" აქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ". როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, „ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები მტკიცედ მოითხოვენ, რომ უახლოეს სამ წელიწადში ხორცის, ქონის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხის, ტყავის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების მოცულობა გადიდებულ იქნას სულ მცირე ერთნახევარჯერ—ორჯერ".

ერთ თვეზე ცოტა მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. მთავრობამ და პარტიამ ამ გეგმაში დასახეს მეცხოველეობის ყოველმხრივი აღმავლობის ამოცანა, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებაში პარტიისა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანა.

დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება, წარმოადგენს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის ახალ თვალსაჩინო დადასტურებას. ჩვენს ქვეყანაში უკვე 1948 წელს იქნა გადაჭარბებული რძისა და ერბო-კარაქის დამზადების ომამდელი დონე, ხოლო ხორცის დამზადების მხრივ თითქმის მიღწეულია 1940 წლის დონე. ეს არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დარგში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განხორციელების პირდაპირი შედეგი, პოლიტიკისა, რომელმაც გამოხატულება პოვა იმით, რომ მიღებულ იქნა პრინციპი სავალდებულო ჩაბარებისა ჰექტარების რაოდენობის მიხედვით.

ახლა, როცა მარცვლეული მეურნეობის აღმავლობა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელება ყველა პირობებს ქმნიან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის, ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ და უნდა გავადიდოთ ხორცის, ერბო-კარაქის, რძის, მატყლის, ტყავის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების მოცულობა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უმოკლეს ვადაში შევქმნათ მოსახლეობისათვის მეცხოველეობის პროდუქტებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე.

რა არის საჭირო ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის? ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ორგანიზაციის გაუმჯობესება. საქმე ეხება სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქების სწორ ორგანიზაციას, ხორცკომბინატების, ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნების, რძის-საკონსერვო ქარხნებისა და მაცივრების ქსელის გაფართოებას და მათი ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერებას, აგრეთვე ტყავისა და მატყლის, განსაკუთრებით ნაზი და ნახევრადუხეში მატყლის დამზადების გადიდებას.

ამჟამად, როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქების ორგანიზაციის საქმეში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით აბარებენ გამხდარ პირუტყვს. დამზადებულ პირუტყვს ხშირად ინახავენ ცუდად მოწყობილ შენობებში და არ უზრუნველყოფენ საკვების საჭირო რაოდენობით. დაამტკიცეს რა ხორცის დამზადების 1949, 1950 და 1951 წლების გეგმები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ გლეხურ და სხვა ინდივიდუალურ მეურნეობებს დაავალეს ხორცის დამზადებაში ჩააბარონ, როგორც წესი, მხოლოდ გასუქებული პირუტყვი. აკრძალულია ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესრულების ანგარიშში ისეთი საქონლის მიღება, რომლებსაც განსაზღვრული წონა არა აქვთ.

ხორცის დამზადების საერთო მოცულობაში დღემდე სრულიად არასაკმარისი იყო ღორის ხორცისა და შინაური ფრინველის ხვედრითი წონა. ბევრი კოლმეურნეობა სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად არ ზრდიდა ღორებს და ღორის ხორცის სავალდებულო ჩაბარებას სხვა სახის პირუტყვის ხორცით ასრულებდა. ეს აბრკოლებდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის სულადობის ზრდას, ხოლო სახელმწიფო საჭირო რაოდენობით ვერ იღებდა ღორის ხორცს. ახლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს წესი, რომლის დროსაც კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს, მუშა-მოსამსახურეებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს შეუძლიათ ხორცის ჩაბარების დარგში თავიანთი ვალდებულებანი შეასრულონ ყველა სახის პირუტყვითა და ფრინველით, გარდა ღორის ხორცის ჩაბარების ვალდებულებისა.

დადგენილებით დამტკიცებულია რძის დამზადების 1949, 1950 და 1951 წლების გეგმა. რძის დამზადების მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნებისა და რძის-საკონსერვო ქარხნების მშენებლობის ფართოდ გაშლა. ძლიერ დიდდება სეპარატორებისა და რძის ჰურჭლის წარმოება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებას, რომ ერბო-კარაქისა და ყველის წარმოება საჭიროა მოეწყოს თვით კოლმეურნეობებში. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი არასწორად ფიქრობს, რომ ერბო-კარაქისა და ყველის დამზადების განვითარება უნდა წარმოებდეს ერბო-კარაქისა და ყველის დამამზადებელ მხოლოდ სახელმწიფო საწარმოთა მშენებლობის ხაზით. ეს იწვევდა იმას, რომ კოლმეურნეობებს ცუდად ამარაგებდნენ სეპარატორებით, ერბო-კარაქის დასამზადებელი მოწყობილობით, მაცივრებითა და რძის გადასამუშავებელი სხვა ინვენტარით, კოლმეურნეობებს დიდი ზარალი მოსდიოდათ, ხოლო სახელმწიფოს მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლდებოდა ერბო-კარაქი. დადგენილება ავალებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და ცენტროსოიუზს მოაწყონ კოლმეურნეობებისათვის სეპარატორების, ერბო-კარაქის დასამზადებელი მოწყობილობის, მაცივრების, რძის ჰურჭლის, ტარისა და მასალების მიყიდვა, რომლებიც საჭიროა საკოლმეურნეო ფერმებთან არსებული სარძეო, ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნებისათვის.

მეცხოველეობა მსუბუქი მრეწველობისათვის იძლევა ისეთი ძვირფასი სახეების ნედლეულს, როგორიცაა მატყლი, ტყავი და სხვ. ამ სახეების ნედლეულის წარმოება მატულობს და სულ უფრო მზარდი ტემპით იმატებს, მაგრამ მატყლისა და ტყავის დამზადება ხშირად ისე წარმოებს, რომ საკმაოდ არ ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს. მაგალითად, ტყავის ნედლეულის დამზადებაში ჭარბობს მსუბუქი წონის ტყავი, არასაკმარისია მძიმე ტყავების დამზადება. ხშირად არღვევენ ტყავის გახდისა და გამოყვანის ელემენტარულ წესებს, რაც ტყავის ნედლეულის მნიშვნელოვანი რაოდენობის გაფუჭებას იწვევს. დადგენილებაში აღნიშნულია დასამზადებელი ტყავისა და კრაველის მოცულობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

დღემდე სრულიად არადამაკმაყოფილებლად მზადდებოდა ნაზი და ნახევრადუხეში მატყლი, რაც უთუოდ აფერხებდა მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი შალეულის წარმოების ზრდას. ახლა მხოლოდ გამონაკლისის სახით იქნება მიღებული უხეში მატყლი ნაცვლად ნაზი, ნახევრადნაზი და ციგაის მატყლისა გარკვეული ეკვივალენტის მიხედვით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დარგში ახალ პასუხსაგებ ამოცანათა შესრულება დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესეს დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა წამახალისებელი ღონისძიებანი, რომლებიც ზრდიან მათს დაინტერესებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების გეგმების წარმატებითი შესრულებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ კვლავ და კვლავ მოწმობს იმას, თუ რა სწრაფად იზრდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, როგორ იქმნება სიუხვე სურსათისა მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის. მილიონობით კოლმეურნეები, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკები ძალასა და შრომას არ დაზოგავენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დადგენილება, მკვეთრად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მოცულობა და, ამრიგად, საბჭოთა ხალხის ცხოვრება გახადონ კიდევ უფრო შეძლებული და კულტურული, ხოლო ჩვენი ქვეყანა—უფრო მდიდარი და მძლავრი!

„პრავდის" მოწინავე, 26/V

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ 1949 წლის 24 მაისს, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა უხუცესი რუსი ხუროთმოძღვარი საბჭოთა არქიტექტურის გამოჩენილი მოღვაწე, აკადემიკოსი და სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრ კავშირის დამსახურებული არქიტექტორი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ალექსი ვიქტორის-ძე შჩუსევი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

კასპის ცემენტის ქარხნის ახალი წარმატება

1948 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგთა მიხედვით კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კასპელმა მეცემენტეებმა ახალი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს. ამას წინათ მათ მოსკოვიდან მიიღეს ცნობა, რომ ამ კვარტალის მუშაობის შედეგთა მიხედვით დატოვებული აქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და კვლავ მიენიჭათ პირველი პრემია 96.000 მანეთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ

ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის წარმატებითი აღმავლობის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დაისახა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — უზრუნველყოს, რომ უმოკლეს ვადაში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სურსათის სიუხვე ხალხისათვის, ნედლეულისა — მსუბუქი მრეწველობისათვის და დაგროვდეს საჭირო სახელმწიფო სასურსათო და ნედლეულის რეზერვები.

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გაწეულმა უდიდესმა დახმარებამ კოლმეურნე გლეხობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მაღალი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია და უზრუნველყო ნათესების სწრაფი აღდგენა, მოსავლიანობის გადიდება და პურის დამზადების წარმატებით ჩატარება. სახელმწიფოს ამჟამად პურის პროდუქტების ისეთი მარაგი აქვს, რომელიც საშუალებას აძლევს შეუფერხებლად და საკმაო რაოდენობით მოამარაგოს ჩვენი ქვეყანა პურით და საჭირო რეზერვებიც იქონიოს.

მარცვლეული მეურნეობის აღმავლობა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი (1949-1591 წლების) გეგმის განხორციელება ყველა საჭირო პირობას ქმნიან იმისათვის, რომ უფრო მეტად გადიდდეს კვების პროდუქტების — ხორცის, ერბო-კარაქის, რძის, კვერცხის, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის — მატყლის, ტყავისა და სხვ. წარმოება და დამზადება.

1940 წელს მიღებულმა კანონმა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების პოლიტიკის შეცვლის შესახებ, რომელმაც დააწესა პრინციპი სავალდებულო ჩაბარებისა ჰექტარების რაოდენობის მიხედვით, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებასა და მეცხოველეობის განვითარებაში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განხორციელების შედეგად 1948 წელსვე გადაჭარბებულ იქნა რძისა და ერბო-კარაქის დამზადების ომამდელი დონე, ხოლო ხორცის დამზადების დარგში თითქმის მიღწეულია 1940 წლის დონე. მაგრამ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ოდენობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები მტკიცედ მოითხოვენ, რომ უახლოეს სამ წელიწადში ხორცის, ქონის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხის, ტყავის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების მოცულობა გადიდებულ იქნას სულ ცოტა ერთნახევარჯერ-ორჯერ.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი.

ამჟამად იმის გამო, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად განკუთვნილი პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქების მოწყობის საქმეში, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდძალ გამხდარ პირუტყვს აბარებენ.

ხორცის დამზადებაში სრულიად უმნიშვნელო ხვედრითი წონა უკავია ღორის ხორცსა და შინაურ ფრინველს. ბევრი კოლმეურნეობა ღორს არ ზრდის სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად და ღორის ხორცის სავალდებულო ჩაბარებას სხვა სახის პირუტყვის ხორცით ასრულებს, რაც აბრკოლებს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის და ცხვრის სულადობის უფრო სწრაფ ზრდას, სახელმწიფო კი საჭირო რაოდენობით ვერ იღებს ღორის ხორცს.

დამამზადებელი ბაზების ქსელის არასაკმარისობის გამო ბევრი კოლმეურნეობა იძულებულია დიდ მანძილზე გარეკოს პირუტყვი, რის შედეგადაც ძალიან მცირდება პირუტყვის წონა და კლებულობს მისი სიმსუქნე. დამზადებული პირუტყვი ხშირად ცუდად მოწყობილ სადგომებში ჰყავთ და საკვებს არ აძლევენ საჭირო რაოდენობით. დღემდე აღმოფხვრილი არ არის პირუტყვის მიღების წესების დარღვევა მისი სიმსუქნის განსაზღვრის დროს.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები არადამაკმაყოფილებლად აწყობენ პირუტყვის საძოვარსა და ბაგაზე გასუქებას და ხორცის ჩაბარების ანგარიშში მიღებული მოზარდეულის ზრდის დამთავრებას, პირუტყვის გასასუქებლად უმნიშვნელო რაოდენობით იყენებენ შაქრის, სპირტის და კვების მრეწველობის სხვა დარგების ნარჩენებს, რის გამო სახელმწიფოს აკლდება დიდძალი ხორცი და უარესდება მიღებული ხორცის პროდუქციის ხარისხი.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი არასწორად ფიქრობს, რომ ერბო-კარაქის და ყველის წარმოების განვითარება უნდა ხდებოდეს ერბო-კარაქისა და ყველის მხოლოდ სახელმწიფო საწარმოთა მშენებლობის ხაზით და რომ კოლმეურნეობებს არ შეუძლიათ საკუთარი ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნები იქონიონ და არ უნდა ეწეოდნენ ერბოს და ყველის წარმოებას. ამ მიზეზით კოლმეურნეობებს ცუდად უზრუნველყოფდნენ სეპარატორებით, ერბო-კარაქის დასამზადებელი აპარატებით, მაცივრებითა და რძის გადასამუშავებელი სხვა ინვენტარით. ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ სახელმწიფოს აკლდებოდა ერბო-კარაქის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ხოლო კოლმეურნეობებს დიდი ზარალი მოსდიოდათ.

ხორც-კომბინატების, ერბო-კარაქის, ყველის, რძის საკონსერვო ქარხნებისა და მაცივრების არსებული ქსელი, ახალ საწარმოთა მშენებლობა და მათი ტექნიკური აღჭურვა ჯერ კიდევ ჩამორჩება პირუტყვის, რძისა და ერბო-კარაქის დამზადების ზრდას, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მეცხოველეობა ძლიერ განვითარებულია. ბევრ დამამზადებელ პუნქტსა და ერბო-კარაქის ქარხანაში სათანადო პირობები არ არის შექმნილი ხორცისა და რძის პროდუქციის სწორი შენახვისათვის.

ტყავის ნედლეულის დამზადებაში სჭარბობს მსუბუქი ტყავის რაოდენობა და არასაკმარისად მზადდება მძიმე ტყავი. სოფელ ადგილებში პირუტყვის დაკვლა მოწესრიგებული არ არის, ირღვევა გატყავებისა და ტყავის გამოყვანის ელემენტარული წესები, რაც იწვევს მნიშვნელოვანი რაოდენობის ტყავის ნედლეულის გაფუჭებას. სრულიად არასაკმარისად მზადდება ნაზი, ნახევრადნაზი და ნახევრადუხეში მატყლი.

ბევრ რაიონში ირღვევა სახელმწიფო დისციპლინა მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების დროულად შესრულების დარგში, ხოლო დამზადების სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანოები სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ დამზადებაში წესრიგის დასამყარებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

I

ხორცის დამზადების შესახებ

1. დამტკიცდეს ცოცხალი წონის ხორცის დამზადების გეგმა 1949 წლისათვის 1.930 ათასი ტონის, 1950 წლისათვის — 2.300 ათასი ტონისა და 1951 წლისათვის—2.700 ათასი ტონის რაოდენობით, მათ შორის:

(ათას ტონობით)

	1949 წ.	1950 წ.	1951 წ.
ა) სავალდებულო ჩაბარების ხაზით	1.505	1.780	2.070
ბ) ჩაბარება კოლმეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების მიერ	325	400	480
აქედან:			
სსრკ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხაზით	168	200	230
სსრკ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით	65	85	115
სსრკ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით	14	20	21
სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით	9,3	12	13
საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ხაზით	8,3	9,5	11,5
სხვა სისტემათა დამხმარე მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით	60,4	74,5	89,5
გ) ბაგაზე და საძოვარზე პირუტყვის გასუქებით მიღებული მატების მიღება	100	120	145

2. დამტკიცდეს 1950 წლისათვის კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების საშუალო ნორმა 3 კილოგრამი ცოცხალი წონის ოდენობით კოლმეურნეობებისათვის მიმაგრებულ თითო ჰექტარ მიწაზე (სახნავი, მათ შორის ბაღი და ბოსტანი; მდელო და საძოვარი) და 1951 წლისათვის—3,5 კილოგრამის ოდენობით.

დაევალოს დამზადების სამინისტროს სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების მიერ ხორცის სავალდებულო ჩაბარების დაწესებული საშუალო ნორმის გათვალისწინებით შეიმუშაოს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ნორმები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარადგინოს ეს ნორმები არა უგვიანეს 1949 წლის 1 სექტემბრისა, ამასთან განსაზღვროს, თუ რა რაოდენობით უნდა ჩააბარონ ღორის ხორცი კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს.

სახელმწიფოსათვის კოლმეურნე კომლების, ერთპიროვნული მეურნეობების, მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ მთავრობის დამტკიცებული ნორმებით ხორცის ჩაბარების ვალდებულებანი უნდა შესრულდეს დაწესებულ ყოველკვარტალურ ვადებში, ხოლო ჩაბარების წლიური ნორმა — არა უგვიანეს 1 დეკემბრისა.

1949 წლიდან დაწყებული, სახელმწიფოსათვის სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობების მიერ ხორცის სავალდებულო ჩაბარების მოქმედი ნორმები გადიდდეს 25 პროცენტით და დაევალოს დამზადების სამინისტროს დაწესებული ნორმების მიხედვით სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება დააკისროს ორგანიზაციებისა და საწარმოდაწესებულებების ყველა დამხმარე მეურნეობას, რომელსაც პირუტყვი ჰყავს, გარდა სამკურნალო-საავადმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საბავშვო სახლებისა და ბაგების, ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა სახლებისა და ინტერნატების დამხმარე მეურნეობებისა.

3. კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი ხორცის ჩაბარების დარგში ყოველი სახის პირუტყვითა და ფრინველით, გარდა სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის ჩაბარების ვალდებულებისა.

კოლმეურნეობები, კოლმეურნეები, ერთპიროვნული გლეხური და სხვა ინდივიდუალური მეურნეობანი ვალდებული არიან ჩააბარონ ხორცის დამზადებაში, როგორც წესი, მხოლოდ მსუქანი პირუტყვი. თუ ხორცის დამზადების ანგარიშში ჩაბარებულ იქნა გამხდარი (საშუალოზე ნაკლები სიმსუქნის) პირუტყვი, ერთი კილოგრამი ჩაითვალოს ვალდებულებაში აღნიშნული ცოცხალი წონის 750 გრამად.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხორცის დამზადების გეგმის შესრულება პირუტყვის სულადობის ნაკლები რაოდენობით, აიკრძალოს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესრულების ანგარიშში ისეთი პირუტყვის ჩაბარება, რომლის წონაც ნაკლებია:

	კოლმეურნეობებისაგან	კოლმეურნეებისა, ერთპიროვნული მეურნეობებისა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებისაგან
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	130 კილოგრამზე	60 კილოგრამზე
ღორი	60 კილოგრამზე	40 კილოგრამზე
ცხვარი და თხა	25 კილოგრამზე	25 კილოგრამზე

4. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააუმჯობესონ საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პირუტყვის ხარისხი და უზრუნველყონ, რომ 1949 წელს სახორცე დარგის საბჭოთა მეურნეობებმა ჩააბარონ სულ მცირე 70 პროცენტი მსუქანი და საშუალოზე მაღალი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ხოლო 1950 წლიდან დაწყებული სულ მცირე 80 პროცენტი, დანარჩენმა საბჭოთა მეურნეობებმა 1949 წელს ჩააბარონ სულ მცირე 50 პროცენტი მსუქანი და საშუალოზე მაღალი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ცხვარი, საქონე და ნახევრადსაქონე ღორი, ხოლო 1950 წლიდან დაწყებული, სულ მცირე 65 პროცენტი სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების დაწესებული გეგმისა და ამის შესაბამისად თვითეულ საბჭოთა მეურნეობას მისცენ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა პირუტყვის არა მარტო წონის, არამედ სიმსუქნის მიხედვით.

5. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს:

ა) დააყენონ ბაგაზე და საძოვარზე გასასუქებლად და ზრდის დასამთავრებლად: 1949 წელს — 1.455 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.000 ათასი სული ცხვარი, 535 ათასი სული ღორი; 1950 წელს—1.750 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.200 ათასი სული ცხვარი, 635 ათასი სული ღორი; 1951 წელს — 2.000 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.500 ათასი სული ცხვარი, 750 ათასი სული ღორი, მათ შორის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით 1949 წელს ბაგაზე გასუქებულ იქნას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 200 ათასი სული, 1950 წელს — 250 ათასი სული, 1951 წელს — 300 ათასი სული, ხოლო ღორი 1949 წელს 35 ათასი სული, 1950 წელს — 40 ათასი სული და 1951 წელს — 45 ათასი სული;

ბ) მიიღონ წონის მატება დურდოთი და თხლით გასუქებისას, აგრეთვე საძოვარზე გასუქებისას და ზრდის დამთავრებისას: 1949 წელს 100 ათასი ტონა, აქედან სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით 15 ათასი ტონა; 1950 წელს 120 ათასი ტონა, აქედან სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით 19 ათასი ტონა; 1951 წელს 145 ათასი ტონა, აქედან სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით 23 ათასი ტონა.

დაევალოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს მოაწყოს შაქრის ქარხნებში დურდოს, ხოლო სპირტის ქარხნებში თხლის წესიერად შენახვა და პირუტყვის საკვებად სრული გამოყენება.

6. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მოაწესრიგოს დამზადების ხაზით მიღებული პირუტყვის შენახვა, სათანადო წესრიგზე მოიყვანოს პირუტყვის მისაღები და პირუტყვის გასასუქებელი არსებული პუნქტები და პირუტყვის შეუფერხებელი მიღებისა და გასუქების გაძლიერების მიზნით გააფართოოს პირუტყვის მისაღები და პირუტყვის გასასუქებელი პუნქტების ქსელი.

ამ მიზნით 1951 წლის დამლევისათვის პირუტყვის გასაჩერებელ, ზრდის დასამთავრებელ და გასასუქებელ ნაგებობათა საერთო რაოდენობა აიყვანოს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—850 ათასი სულის, ცხვრისა და თხისა — 800 ათასი სულის და ღორისა — 280 ათასი სულის ტევადობამდე, ხოლო ხორცის კომბინატებში დაკვლის წინ შესანახ ნაგებობათა რაოდენობა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 440 ათასი სულის, ცხვრისა და თხისა— 310 ათასი სულის, ღორისა 140 ათასი სულის ტევადობამდე.

1949-1951 წლებში აშენოს:

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მისაღები, გასაჩერებელი, ზრდის დასამთავრებელი და გასასუქებელი ნაგებობანი 1949 წელს — 20 ათასი სულის, 1950 წელს — 45 ათასი სულის და 1951 წელს — 85 ათასი სულის ტევადობისა; ცხვრისა და თხისა 1949 წელს — 25 ათასი სულის, 1950 წელს — 60 ათასი სულის და 1951 წელს — 130 ათასი სულის ტევადობისა; ღორისა 1949 წელს — 20 ათასი სულის, 1950 წელს — 35 ათასი სულის და 1951 წელს — 75 ათასი სულის ტევადობისა;

ბ) ხორცის კომბინატებში დაკვლის წინ შესანახი ნაგებობანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 1949 წელს — 35 ათასი სულის, 1950 წელს — 40 ათასი სულის და 1951 წელს — 60 ათასი სულის ტევადობისა; ცხვრისა და თხისა 1949 წელს — 20 ათასი სულის, 1950 წელს — 30 ათასი სულის და 1951 წელს — 65 ათასი სულის ტევადობისა; ღორისა 1949 წელს — 10 ათასი სულის, 1950 წელს — 40 ათასი სულის და 1951 წელს — 65 ათასი სულის ტევადობისა;

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ

(დასასრული)

ბ) სპირტის შაქრისა და ზეთსახდელ ქარხნებთან მსხვილფეხა რქანაი პირუტყვის გასასუქებელი ნაგებობანი 1949 წელს 30 ათასი სულის, 1950 წელს — 38 ათასი სულისა და 1951 წელს 52 ათასი სულის ტევადობისა.

დაეკალოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს აშენოს 1949-1951 წლებში მსხვილფეხა რქანაი პირუტყვის გასასუქებელი ნაგებობანი 40 ათასი სულის ტევადობისა, აქედან: 1949 წელს 7 ათასის სულის, 1950 წელს 13 ათასი სულის, 1951 წელს 20 ათასი სულის ტევადობისა და ამ ნაგებობებში პირუტყვის ტევადობა აიყვანოს 105 ათასს სულამდე.

პირუტყვის ბაზებისა და პირუტყვის მისაღებ, ზრდის დასამთავრებელ და გასასუქებელ ნაგებობათა მშენებლობა წარმოებდეს ტიპიური პროექტების მიხედვით, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, ამასთან ფართოდ იქნას გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები.

7. იმის გამო, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები სრულიად არადამაკმაყოფილებლად აწყობენ პირუტყვის მიღებას ხორცკომბინატებსა და სასაკლაო პუნქტებში, რაც იწვევს პირუტყვის წონისა და სიმსუქნის დიდ დაკარგვას, დაეკალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საოლქო და სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს განსახილველად საკონო ლონისძიებანი პირუტყვის გადარეკვის მოსაწესრიგებლად, რისთვისაც:

ა) პირუტყვის დამამზადებელ და პირუტყვის გასასუქებელ ორგანიზაციებს დამამტკიცონ მიამაგრონ მუდმივი სარგებლობისათვის მიწის სავარგულები მიწის სახელმწიფო ფონდის ხარჯზე;

ბ) დააწესონ პირუტყვის გარეკვის მუდმივი ტრასები, უზრუნველყონ ისინი სარწყულებლებით და გზაში პირუტყვის დასასვენებელი ბაკებით, მოაწყონ გადასასვლელები, გამოიყენონ საძოვარი ნაკვეთები, შექმნან საკვების საკმარ მარაგი პირუტყვის საკვებ პუნქტებში და ძოვების პერიოდში მოაწყონ წყვანე კონვეიერი;

გ) თვითეულ ტრასზე უზრუნველყონ პირუტყვის გადარეკვის გზაზე ვეტერინარული კონტროლი;

დ) ხანგრძლივი გარეკვის ტრასებზე მოაწყონ პირუტყვის გზაზე გასუქება, ამასთან დააწესონ გადასარეკი პირუტყვის წონის მატების დაკალებანი;

ე) დამამზადებელი ორგანიზაციების ქსელი განაპტაკიონ პირუტყვის კვალიფიციურ გარეკვა მუდმივი კადრებით.

8. დაეკალოს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს გამოჰყოს პირუტყვის გასასუქებელი პუნქტებისა და ბაზების მშენებლობისათვის:

1950 წლისათვის ტყესაკაფი ფონდი, სადაც დამზადდეს 800 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, მათ შორის 500 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი, აქედან სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსათვის — 750 ათასი კუბური მეტრი, მათ შორის 470 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი, და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსათვის 50 ათასი კუბური მეტრი, მათ შორის 30 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი;

1951 წლისათვის—ტყესაკაფი ფონდი, სადაც დამზადდეს 820 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, მათ შორის 500 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი, აქედან სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსათვის—760 ათასი კუბური მეტრი, მათ შორის 470 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი, და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსათვის 60 ათასი კუბური მეტრი, მათ შორის 30 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი.

1950 და 1951 წლებისათვის ტყესაკაფი ფონდი გამოიყოს ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

9. დაეკალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს დაამზადოს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მიაწოდოს 1950 წელს პირუტყვის მიმღები ბაზებისა და გასასუქებელი პუნქტების მშენებლობისა და მოწყობისათვის 300 ათასი კვადრატული მეტრი და 1951 წელს 400 ათასი კვადრატული მეტრი სტანდარტული საშენი დეტალები.

10. დაეკალოს გემთმშენებელი მრეწველობის სამინისტროს მიაწოდოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 1950 წელს გადასასვლელთა მოსაწყობად და წყლის გზებზე პირუტყვის გადასაყვანად 20 კატერი „ბმკ-90“ მარკისა და 30 კატერი თვითეული 150 ტონა ტვირთამწეობისა.

11. პირუტყვის დამამზადებელი ორგანიზაციებისა და გამასუქებელი საბჭოთა მეურნეობების მეურნეობებში საკვების დამზადების გასაღიდებლად სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ამ მეურნეობებისათვის გამოეყოს „სტწ-ნატის“ მარკის ტრაქტორები 1950 წელს 500 და 1951 წელს 600 ცალი, ტრაქტორის გუთნები 1950 წელს 500 და 1951 წელს 600 ცალი, ცხენის სათიბი მანქანები 1950 წელს 2.500 და 1951 წელს 2.500 ცალი, ცხენის ფოცხები 1950 წელს 1.500 და 1951 წელს 1.500 ცალი, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას, რომ პირუტყვის დამამზადებელ ორგანიზაციებს ღორისა და ფრინველის გადასაყვანად მოეცეთ 1950 წელს 500 სატვირთო ავტომანქანა და 300 ავტომანქანა, 1951 წელს 1.000 სატვირთო ავტომანქანა და 300 ავტომობილბენელი.

დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დააკისროს მტს-ებს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირუტყვის დამამზადებელი და პირუტყვის გამასუქებელი ორგანიზაციების მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება ხელშეკრულების საფუძველზე, ისე რომ შესრულებულ სამუშაოთა ფულადი ანაზღაურება მოხდეს მტს-ების საკუთარ თვითღირებულების მიხედვით.

12. დაეკალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1949 წელს დამატებით გამოუყოს სპირტისა და შაქრის ქარხნებთან გასასუქებელი პუნქტებისა და პირუტყვის გასაჩერებელ და ზრდის დასამთავრებელ სამეცხოველო ნაგებობათა ასაშენებლად კაპიტალდაბანდებისათვის სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 110 მილიონი მანეთი და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს 12 მილიონი მანეთი.

რძისა და ერბო-კარაქის დამზადების შესახებ

13. დამტკიცდეს რძის დამზადების გეგმა (მათ შორის ერბო-კარაქისა რძეზე გადაყვანით) 1949 წლისათვის 8.000 ათასი ტონის რაოდენობით, 1950 წლისათვის—8.900 ათასი ტონის და 1951 წლისათვის — 10.000 ათასი ტონის რაოდენობით, მათ შორის:

	ათას ტონობით 1949 წ.	1950 წ.	1951 წ.
ა) საკადრებულო ჩაბარება	6.990	7.570	8.250
ბ) სპბ-ების მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების მიერ ჩაბარება	1.010	1.330	1.750
აქედან:			
სსრ კავშირის სპბ-ების მეურნეობების სამინისტროს ხაზით	627	850	1.100
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით	126	175	200
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით	59,2	86,4	126
სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით	16,5	24	30,6
საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ხაზით	1,5	1,6	2,4
სხვა სისტემათა დამხმარე მეურნეობებისა და სპბ-ების მეურნეობების ხაზით	179,8	193	246

14. დამტკიცდეს კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების საშუალო ნორმა 1950 წლისათვის 10,6 ლიტრის რაოდენობით და 1951 წლისათვის — 13 ლიტრის რაოდენობით კოლმეურნეობებისათვის მიმაგრებული მიწის ფართობის (სახნავი, მათ შორის ბაღი და ბოსტანი, მდელო და საძოვარი) თვითეულ ჰექტარზე.

დამზადდის სამინისტროს კოლმეურნეობებს მიერ სახელმწიფოსათვის რძის საკადრებულო ჩაბარების დაწესებული საშუალო ნორმების გათვალისწინებით შეიმუშაოს ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ნორმები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარადგინოს ეს ნორმები არაუგვიანეს 19 წლის 1 სექტემბრისა.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმების მიხედვით კოლმეურნეობა კომლების, ერთპიროვნული მეურნეობების, მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ვალდებულებანი უნდა შესრულდეს დაწესებულ თვიურ ვადებში, ხოლო მთელი წლიური ჩაბარება არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ნორმები გადადდეს 25 პროცენტით და დაეკალოს დამზადების სამინისტროს, 1949 წლიდან დაწყებული, რძის საკადრებულო ჩაბარება დაიკისროს ყველა დამხმარე მეურნეობას, რომელსაც ყოველ ძროხებე, დაწესებული ნორმების მიხედვით, გარდა საკვებმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სპბ-ების სახლეთისა და ბაგების, ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა სახლებისა და ინტერნატების დამხმარე მეურნეობებისა.

15. დაეკალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყოს კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა, გლეხური მეურნეობებისა და მუშა-მოსამსახურეებისაგან ერბო-კარაქის შეუფერხებელი მიღება მათ მიერ რძის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში.

ქარხნის მაღალხარისხოვანი კარაქის, ყველისა და რძის კონსერვების გამომუშავების გასაღიდებლად დაწესდეს, რომ რძის საკონსერვო და ყველის ქარხნების, აგრეთვე ერბო-კარაქის მექანიზებული ქარხნების მოქმედების ზონაში სახელმწიფოსათვის რძის საფალდებულო ჩაბარების კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და სხვა ჩამბარებლები, როგორც წესი, მოეხდიდეთ რძის ჩაბარებით ასრულებენ. ამასთან დაკავშირებით აღინიშნეთ ქარხნების მოქმედების ზონაში რძის დასამზადებელი ფასი გადიდდეს ლიტრზე 5 კაპიკით. ამ ზონაში მდებარე კოლმეურნეობებისგან, რომელთაც თავიანთი ერბო-კარაქის ქარხნები აქვთ, დაუბრკოლებლად იქნას მიღებული ერბო-კარაქი მათ მიერ რძის ჩაბარების გეგმების შესრულების ანგარიშში.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გაეფართოოს რძის საკონსერვო, ყველისა და ერბო-კარაქის ქარხნების მიერ რძის ადგილობრივ შეგროვება.

16. დაეკალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მიიღოს ზომები ერბო-კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოს, რომ 1949 წელს გაზომეშვაებულ იქნას უმაღლესი ხარისხის ერბო-კარაქი სულ მცირე 75 პროცენტი და ყველი სულ მცირე 60 პროცენტი, 1950 წელს ერბო-კარაქი — 80 პროცენტი, ყველი — 65 პროცენტი და 1951 წელს ერბო-კარაქი — 85 პროცენტი და ყველი — 70 პროცენტი.

17. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი რძის ხარისხის გასაუმჯობესებლად კოლმეურნეობებს რჩევა მიეცეთ მოაწყონ ფერმებთან სარძეოები რძის პირველადი დამუშავებისა და შენახვისათვის, ხოლო იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც დიდი სარძეო-სასაქონლო ფერმები აქვთ, — აგრეთ ერბო-კარაქისა და ყველის საკუთარი ქარხნები მაღალხარისხოვანი ერბო-კარაქისა და ყველის დასამზადებლად, აგრეთვე უზრუნველყონ სარძეო-სასაქონლო ფერმები ყინულით რძის გასაცივებლად ერთ ტონა რძეზე ერთი კუბური მეტრის ანგარიშით.

დაეკალოს აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს საჭირო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნების და ფერმებთან სარძეოების მშენებლობისა და მოწყობაში.

18. 1949 წლის 1 ივლისიდან დაწყებული, დამტკიცდეს ერბო-კარაქის ნაცვლად რძის ჩათვლის ეკვივალენტები რძის დაწესებული საბაზისო ცხიმიანობის მიხედვით შემდეგი ოდენობით: იმ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის, სადაც რძის საბაზისო ცხიმიანობა დაწესებულია 3,8-3,9 პროცენტი, არანაკლებ 95 პროცენტი ცხიმიანობის ერთ კილოგრამ გლეხურ ერბოში უნდა ჩაითვალოს 25 ლიტრი რძე და არანაკლებ 75 პროცენტი ცხიმიანობის ერთ კილოგრამ კარაქში 19 ლიტრი რძე; როცა რძის საბაზისო ცხიმიანობა 4,2 პროცენტია, ერთ კილოგრამ ერბოში უნდა ჩაითვალოს 24 ლიტრი და ერთ კილოგრამ კარაქში 18,5 ლიტრი რძე; როცა რძის საბაზისო ცხიმიანობა 4,4 პროცენტია, ერთ კილოგრამ ერბოში უნდა ჩაითვალოს 23 ლიტრი რძე და ერთ კილოგრამ კარაქში 18 ლიტრი რძე.

19. ნება დაერთოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მიიღოს რძე იმ მეურნეობებისაგან ზეგეგმიანი ჩაბარების წესით, რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ვალდებულებანი, და მიღებულ რძეში აძლიოს რძის დასამზადებელ არსებულ ფასთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტი, აგრეთვე ამ მეურნეობებს მიპყიდოს კოპტონი შემდეგი ანგარიშით: ერთ ლიტრ რძეში ერთი კილოგრამი კოპტონი, კილოგრამში არსებულ ფასად — 20 კაპიკად. ამ მიზნით სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 1949 წელს დამატებით გამოეყოს 100 ათასი ტონა კოპტონი.

20. ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნების მიერ რძის ჩაბარების რადიუსის გასაღიდებლად და რძის ადგილობრივ შეგროვების გასაფართოებლად სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 1950 წლის პირველ ნახევარში გამოეყოს 4.000 სატვირთო ავტომანქანა, 1951 წლის პირველ ნახევარში 3.000 სატვირთო ავტომანქანა. 1949 წლის II და III კვარტალებში სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დამატებით გამოეყოს 10.000 კომპლექტი ავტოშინა და ორი მილიონი მანეთის ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები.

ჩვენს ქვეყანაში რძის დამზადების მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით უაღლოესი სამი წლისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ერბო-კარაქის, ყველისა და რძის საკონსერვო ქარხნების მშენებლობის ფართოდ გაშლა ისეთი ოდენობით, რაც უზრუნველყოფს დამზადების წესით შემოსული მთელი რძის გადამუშავებას მაღალხარისხოვან ერბო-კარაქად, ყველად და რძის კონსერვებად.

დაეკალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს:

ა) აადგს 1949-1951 წლებში ერბო-კარაქისა და ყველის 2.200 ქარხანა, რძის საშრობი 400 საამქრო ერბო-კარაქის ახლად მოწყობილ და არსებულ ქარხნებთან წელიწადში 40 ათასი ტონა მშრალი ფეხნილის საერთო საჭიროთა სიმძლავრისა, 6.000 სასეპარატორო განყოფილება, 300 მიმღებ-გამსაღებელი ბაზა მაცივარი დანადგარებით და ყველის 600 სარდაფი, მათ შორის:

	1949 წ.	1950 წ.	1951 წ.
ერბო-კარაქის ქარხნები	376	645	729
აქედან:			
წელიწადში ხუთასი-ათასი ტონა რძის გადამუშავების საწარმოო სიმძლავრისა	292	464	494
ორი ათასი ტონისა	65	141	169
სამი ათასი ტონისა	19	40	66
ყველის ქარხნები			
აქედან:	105	166	179
წელიწადში ხუთასი-ათასი ტონა რძის გადამუშავების საწარმოო სიმძლავრისა	78	156	166
ორი ათასი ტონისა	27	10	13
რძის საშრობი საამქროები	53	146	201
ყველის სარდაფები	220	223	157
სასეპარატორო განყოფილებანი		2.500	3.500
მიმღებ-გამსაღებელი ბაზები	60	100	140
აქედან:			
ერთდროულად ასი ტონა ერბო-კარაქის შესანახავი ტევადობისა	33	65	119
ორასორმოცდათი ტონისა	27	35	21

ბ) გაადიდოს რძის კონსერვების დამამზადებელი საწარმოთა საწარმოო სიმძლავრე, რისთვისაც აადგს და 1949-1951 წლებში აამუშაოს 15 რძის საკონსერვო ქარხანა წელიწადში 32 მილიონი ქილა შესაქონებელი რძისა და 8.800 ტონა მშრალი რძის წარმადობისა.

22. ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნების მშენებლობის დასაჩქარებლად დაეკალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ჩაბარების სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 1950-1951 წლებში 750 ასაწყობი შენობა ერბო-კარაქის ქარხნებისათვის, მათ შორის: 1950 წელს — 350 კომპლექტი და 1951 წელს — 400 კომპლექტი.

23. სეპარატორებისა და რძის ჭურჭელზე კომლმეურნეობებისა და კოლმეურნეების, აგრეთვე რძის მრეწველობის გზიდან მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროდ ჩაითვალოს, რომ 1950 და 1951 წლებში გადიდდეს სეპარატორებისა და რძის ჭურჭლის წარმოება და მათი გამომუშავება აყვანილ იქნას შემდეგ ოდენობამდე:

	ათას ცალობით 1950 წ.	1951 წ.
სეპარატორები (საათში სამოცი ასი ლიტრი)	260	340
სეპარატორები (საათში სამასი ლიტრი და მეტი)	40	60
საწველელები	3.500	5.000
ფლასკები	1.200	1.400
ჭურჭლის კასრები	260	310

დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სახალხო სამეურნეო გეგმებში სეპარატორების, საწველელების, ფლასკებისა და ყურნინგი კასრების წარმოების გასაწილება სამინისტროებსა და უწყებებში.

ვადიდდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ხაზით სეპარატორების (საათში 60-100 ლიტრი) წარმოება 1949 წელს 20 ათასი ცალით.

დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და ცენტროსოიუზს მოაწყონ კოლმეურნეობებისათვის სეპარატორების, ერბო-კარაქის დასამზადებელი ჭურჭლის, მაცივრების, რძის ბუნკერების, ტარისა და მასალების მიყიდვა, რაც საჭიროა ერბო-კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების გამოსამუშავებლად, შესაფუთავად და გადასაზიდავად.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რაზომ ჩამორჩა დონეა

მარტსა და აპრილში არახელსაყრელმა ამინდმა მართალია ხვნა-თესვის გაჭიანურება გამოიწვია, მაგრამ საგაზაფხულო სამუშაოთა ჩამორჩენა ბორჯომის რაიონში მარტო ამით როდი აიხსნება. კოლმეურნეობათა ნაწილმა ვერ გათვალისწინება მოკლე ფორმი დაძაბული მუშაობისათვის დაერაზმა მთელი ძალები და უზრუნველყო მუშა პირუტყვის, თესლის, მანქანა-იარაღების მომზადება. სწორედ ეს არის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი.

საკრის, ტაძრისის და დგვარის კოლმეურნეობები ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს არიან. მათთვის ერთნაირი ამინდი იყო, მაგრამ დგვარის კოლმეურნეობამ 20 მაისამდე დაამთავრა ხვნა-თესვა, საკრის კოლმეურნეობაში კი სამუშაო დასასრულს უახლოვდება, ხოლო ტაძრისის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩა. მზეთამზის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ გადაკარბებით "შეასრულა თესვის გეგმები, მაგრამ ამავე სასოფლო საბჭოში შემავალი ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთვის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩა, თუმცა მათაც მუშაობისათვის ერთნაირი პირობები ჰქონდათ. ასეთ მაგალითს სხვაგანაც ვხედავთ.

ამის გამო რაიონში 20 მაისისათვის მოხნული იყო 2.257 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.788 ჰექტარისა, დათესილია 3.128 ჰექტარი, გეგმა კი 4.150 ჰექტარს ითვალისწინებს. შესრულებული არ არის გაზაფხულის ნორბარეანი და მრავალწლიანი ბალახების, კარტოფილის, ბოსტნეულის თესვის გეგმები.

თესვაში ჩამორჩა და საერთოდ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ტაძრისის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. ჩადუნელი). კოლმეურნეობამ 38 ჰექტარი გაზაფხულის ხორბალი უნდა დათესოს. 10 მაისისათვის დათესილი იყო 34 ჰექტარი, ამის მეშვეიდე კი 19 მაისამდე თესვა შეწყვეტეს. სუსტია შრომის დისციპლინა, ცუდად არის მოწყობილი შრომა. მუშა-საქონელი დასუსტებულია. ამის ისიც ადასტურებს, რომ დღიური ნორმები სანაზეიროდაც არ სრულდება. შრომადღეების დროულად დარიცხვასაც არ ეძლევა საჭირო ყურადღება. მარტსა და აპრილში კოლმეურნეობის მიერ გამომუშავებული შრომადღეები შეჯამებული და საყოველთაო ცხობისათვის გამოკრული არ არის..

სოფელ საკირის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაშიც გაჭიანურდა თესვა. მაგრამ მაისის მეხუთე ხუთდღიურში ორგანიზებული ფრონტი შრომა გააჩაღეს. აქ ნაკლები ყურადღება ეძლევა წვრილ-ჯგუფური და ინდივიდუალური სანარდო სისტემის გატარებას. ამის შედეგად ცალკე გრძელდება ბალახარეების პრაქტიკა შრომადღეების დარიცხვაში. მაგალითად, 29 აპრილს კარტოფილის თესვაზე მუშაობდნენ ზენონა, რომა, ლუბა სამსონიძეები, ეთერ გელაშვილი, გალინა ბლიაძე, ლიზა თოფურიანი, გ. ბლიაძე. მათ ცალ-ცალკე კი ოუზოშეს შესრულებული სამუშაო და თვითეულს თანაბრად დაუწერეს 0,68 შრომადღე. ბრიგადირებს 10-20 დღის დაგვიანებით მოაქვთ უწყისები.

არადამაკმაყოფილებელ მუშაობენ სოფელ ვეფხიანეთის სტანციის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. ქუმარიტაშვილი). კოლმეურნეობამ უნდა დათესოს 155,5 ჰექტარი გაზაფხულის ხორბალი, 19 ჰექტარი ქერი, 21 ჰექტარი კარტოფილი, 3 ჰექტარი სასიელოსე ნაკვეთი და სხვ. 24 მაისისათვის არც ერთი კულტურის თესვის გეგმა არ იყო შესრულებული. ჩამორჩენის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ მუშაობაში ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე არ იღებს მონაწილეობას. კოლმეურნეობაში თესვის გაჭიანურება იმითაც გამოიწვია, რომ სეზონზოო დაკავების მიხედვით უნდა იმუშაოს 36 ხარამ, 6 გუთანმა. სინამდვილეში ოთხ გუთანს ამუშავებენ, ხარების ნაწილი მეტად დასუსტებულია. აქ ერთ ფაქტსაც წავაწყდით: მუშა-პირუტყვის სულადობა ყველთვიურად კლებულობს. მაგალითად, პირველი იანვრისათვის იყო 140 სული, პირველი თებერვლისათვის — 138, პირველი მარტს — 137. ხოლო პირველი მაისის მდგომარეობით — 128 სული, ამის შესახებ ცნობები აქვს რაიონმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, მაგრამ რატომღაც დიდად არ დაინტერესდა ამ საკითხით. კოლმეურნეობაში წელს ნამატი ჩათვლით 93 სული ხარა და ცხენი მოკვდა. აქედანაც ჩანს, რომ მეცხოველეობას აქ ყურადღება არ ექცევა. კოლმეურნეთფოსტის ნაკვეთების მიჩენა ამ კოლმეურნეობაში ფორმალურ ხასიათს ატარებს. ნაკვეთების მიჩენის დამამადასტურებელი რაიმე საბუთიც არ აღმოაჩნდათ, ხოლო შრომადღეების დარიცხვაში აქაც გათანაბრებაა. კოლმეურნეები დუნა კაჯაია, ნინო გაგლოევა, ოლია ფილიეევა და მისი შვილი ნინო თავს არიდებენ მუშაობას. ზოგიერთ მათგანს წელს ერთი შრომადღეც არ გამოუმუშავებია. არა აქვთ შრომისუნარიან წევრთა სია.

ხვნა-თესვაში ჩამორჩენილია სოფელ ყვირისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც დათესილია 88 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 174 ჰექტარისა. ხერიოზული ჩამორჩენა აქვთ დიდი მიტარის სტალინის, ოინეთის ეფროშოლოვის, წითელი სოფლის ჩარკვიანის სახელობის და სოფელ ტაბაწყურის კოლმეურნეობებს.

ამან გავლენა მოახდინა რაიონული გეგმის შესრულებაზე. 23 მაისისათვის თესვის გეგმის შესრულებამ ძლივს ძალწია 82 პროცენტს.

მოსაყვანიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკელის შეტანას ნიადაგში. ყოველ კოლმეურნეობას თითქმის ასეული ტონობით ნაკელი მოეპოვება, მაგრამ მისი გამოყენებისათვის თავს არ იწუხებენ.

ამ ფაქტებიდან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. რაიასპბ-ის ოლმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება და პარტიის რაიკომის ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის განყოფილება უკეთესად, ოპერატიულად უნდა დაეხმაროს კოლმეურნეობებს.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ჩაის ფოთლის კრეფა

ყოველდღიურად ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. 20 მაისისათვის საქართველოში მოკრეფილი იყო 832,2 ტონა ჩაის ფოთოლი, მარტო მეხუთე ხუთდღიურში კი მოკრეფილა 3.174 ტონა. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 7,3 პროცენტით, ხოლო მაისისა — 37,3 პროცენტით.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შესრულებულია 19,8 პროცენტით, ქობულეთის — 15,5, გალის — 51,2, ოჩამჩირის — 50,4, გურიფშის — 143,6, სოხუმის — 57, გუდაუთის — 77, მახარაძის — 18,2, ონოტაურის — 29,2, ლანჩხუთის — 37, საჩერედის — 86,3, წულუკიძის — 83,7, ჭუთაისის — 106,7, წყალტუბოს — 82,9, ტყიბულის — 20,2, ცაგერის — 56,3, აბაშის — 97,2, გეგეჭკორის — 69,3, ზუგდიდის — 47,9, წალენჯიხის — 49,8, ჩხოროწყუს — 9,9, ხობის — 57,5, ჩიხარის — 198,8, ხოლო ზესტაფონის რაიონში — 150 პროცენტი.

მახარაძისა და ჩხოროწყუს რაიონების ცნობები არასრულია.

აფხაზეთმა გადაჭარბებით შეასრულა ეკალიკჯის გაშენების 1949-ნლის საგაზაფხულო გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მგელაძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დელბა იტყობინებიან, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის რაიონებმა 25 მაისისათვის 143,2 პროცენტით შეასრულეს ეკალიპტის გაშენების გეგმა. დარგულია 3.708.800 ძირი ეკალიპტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.590.000 ძირისა. ამას გარდა, ადგენილა და რეგისტრაციაში ყოფილა 2.528.300 ძირი ეკალიპტი.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა 101,9 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა, მათ შორის თავთივანი კულტურებისა 105,3 პროცენტით და მარცვლეული კულტურებისა—101,5 პროცენტით. მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა შესრულებულია 104,0 პროცენტით და საკვები კულტურებისა 108,8 პროცენტით.

ჩხარის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ვენახის გაშენებისა და ვაზის მყნობის გეგმა

ჩხარის რაიონის კოლმეურნეობებმა 102,5 პროცენტით შეასრულეს 1949 წლის გაზაფხულზე ვენახის გაშენების, ხოლო 106,2 პროცენტით — ვაზის მყნობის გეგმა.

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თესვის, ვენახის გაშენებისა და მყნობის გეგმები

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 მაისისათვის შეასრულეს სიმინდის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ერთწლიანი ბალახებისა და სასაილოსე კულტურების თესვის საგაზაფხულო გეგმა და აგრეთვე ვენახების გაშენებისა და ვაზის მყნობის გეგმა.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

24 მაისს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. პ. ტარასოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ რსფსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რსფსრ 1947 და 1948 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

უმაღლესმა საბჭომ დეპუტატ ი. მ. ნიკოლსკის წინადადებით ერთხმად შეიტანა ეს საკითხები სესიის დღის წესრიგში.

შემდეგ თავმჯდომარე რსფსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რსფსრ 1947 და 1948 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს რსფსრ ფინანსთა მინისტრს დეპუტატ ა. მ. საფრონოვს.

მინისტრ საფრონოვის მოხსენების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა რსფსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. ბურილიჩევის თანამოხსენება.

ამით დამთავრდა რსფსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა. (საკდესი).

მემორანდუმების გაცვლა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს შორის

საკდესის ცნობით, დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის უკანასკნელ ხანს მოხდა მემორანდუმების გაცვლა.

28 აპრილს დიდი ბრიტანეთის ელჩმა ბ-ნმა მ. დ. პეტერსონმა ინახულა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი და გადასცა მას მემორანდუმი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო პრეტენზიები იმის გამო, რომ საბჭოთა ორგანოები თითქოს არასწორად მოქმედებენ ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლების მიმართ, კერძოდ, საელჩოში მომუშავე საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. საელჩოს მემორანდუმში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ თავიანთი არასწორი მოქმედებით საბჭოთა ხელისუფალნი ცდილობენ გავლენა მოახდინონ ბრიტანე-

...

საბჭოთა მოქალაქეებს, მემორანდუმში წამოყენებული პრეტენზიები სხვა არა არის რა, თუ არ საელჩოს შეუწყნარებელი ცდა—ჩაერიოს საბჭოთა ორგანოებისა და საბჭოთა მოქალაქეების ურთიერთობაში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოგაგონოთ, რომ აუცილებელი ცდების პასუხად, რომლებსაც საელჩო უფრო ადრე მიმართავდა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამა წლის 15 მარტის წერილში ბ-ნ მ. პეტერსონის სახელზე აღნიშნული იყო, რომ საელჩოს კომპეტენციაში ვერ შეიძლება შედიოდეს საბჭოთა ორგანოებისა და საბჭოთა მოქალაქეების ურთიერთობის საკითხები, მიუხედავად იმისა, თუ სად მუშაობენ ეს უკანასკნელნი.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარ-

...

მტკიცებანი, რომლებსაც მემორანდუმი შეიცავს, თითქოს ადგილი ჰქონდა საბჭოთა ორგანოების მიერ ბრიტანეთის საელჩოს მოსამსახურეთა დევნის შემთხვევებს, ემყარება არასწორ ინფორმაციას და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ხოლო რამდენადაც საქმე ეხება საელჩოში მოსამსახურე

...

იქნება რეპრესიები სსრ კავშირის საელჩოს იმ თანამშრომელთა მიმართ, რომელნიც დიდ ბრიტანეთში იმყოფებიან. ბრიტანეთის მთავრობისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთ მეთოდებს არ შეიძლება წარმატება ჰქონდეს საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობაში". (საკდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ტექნიკუმების მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ განიხილა საკითხი „1949 წლის საზაფხულო არდადეგების პერიოდში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ტექნიკუმების მოსწავლეთა კულტურულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მოწყობის შესახებ".

პროფკავშირთა საბჭოებს წინადადე-

...

ტებმა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პროფკომებს უნდა მისცენ კულტურის სასახლეები და სახლები, კლუბები, პარკები და სასპორტო ნაგებობანი და საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოაწყონ იქ სტუდენტებისათვის სხვადასხვა კულ-

...

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

გერმანიის ერთიანობის პრობლემის განხილვა

პარიზი, 24 მაისი. (საკდესის სპეც. კორ). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ე. ბევინი. მინისტრებმა დაიწყეს განხილვა დღის წესრიგის პირველი პუნქტისა „გერმანიის ერთიანობა ეკონომიური პრინციპების, პოლიტიკური პრინციპებისა და სამოკავშირეო კონტროლის ჩათვლით". პირველმა სიტყვა აიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები პირველად როდი იხილავენ გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის პრობლემას. ჯერ კიდევ ომის დროს, ყირიმის კონფერენციაზე, სამი დიდი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელები ...

...

სათვის, რომ განეხორციელებინა გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია, რომ ხელი შეეწყო გერმანიის გარდაქმნისათვის ერთიან დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ. საბჭოთა მთავრობა საკონტროლო საბჭოს მთელი მოღვაწეობის მანძილზე განუწყვეტლივ ...

...

ა) აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში ამჟამად არსებული გერმანიის ეკონომიური ორგანოების საფუძველზე შეიქმნას სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭო.

ბ) აღდგენილ იქნას სრულიად ბერლინის მაგისტრატი.

სრულიად ბერლინის მაგისტრატის არჩევნების ვადის საკითხები განსახილველად გადაეცეს ბერლინის სამოკავშირეთაშორისო კომენდატურას.

ამხ. ვიშინსკის შემდეგ განცხადებებით გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. აჩესონის გამოსვლა

ბ-ნმა აჩესონმა განაცხადა, რომ როცა იგი ვიშინსკის უსმენდა, იმედი მიეცა, რომ იქნებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მიაღწიოს შეთანხმებას გერმანიის ერთიანობის პრობლემების დარგში. მაგრამ შემდეგ აჩესონმა გაილაშქრა საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილ წინადადებათა წინააღმდეგ და გასაგებად თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია კვლავ ძველ პოზიციაზე რჩება.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს დასავლეთ გერმანიაში დენაციფიკაცია და დემილიტარიზაცია უკვე დამთავრებულია, რომ იქ ომის ყველა დამნაშავე გადაეცა სასამართლოს და დასჯილია, რომ იქ სავსებით განხორციელებულია ყველა დემოკრატიული თავისუფლება და რომ ამრიგად საკონტროლო პერიოდის დასაწყისში მოკავშირეთა კონტროლის წინაშე მდგომი ამოცანები დასავლეთ ზონებში თითქოს უკვე გადაწყვეტილია.

შემდეგ აჩესონი ამტკიცებდა, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოები პასუხს არ აგებენ გერმანიის გათიშვისათვის და რომ ...„გერმანია სრულიად ავტომატურად დაიშალა ცალკეულ ნაწილებად ისევე, როგორც ცალკეული უჯრედებისაგან შემდგარი ორგანიზმი". მან განაცხადა, რომ ბიზონია, ხოლო შემდეგ ტრიზონია შეიქმნა ...

...

მოეყოთ ეკონომიურად და ფინანსურად გერმანიის დასავლეთი ზონები.

აჩესონმა საჭიროდ ჩათვალა განეცხადებინა, რომ ბიზონიის, ხოლო შემდეგ ტრიზონიის შექმნა ასეულ მილიონობით დოლარი დაჯდა.

აჩესონი გადავიდა გერმანიის ერთიანობის საკითხზე და განაცხადა:

— ჩვენ ვვითარდებოდით ერთი ზონიდან ბიზონიისაკენ, ხოლო შემდეგ ტრიზონიისაკენ. მე ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შემდგომი პროგრესი გამოიწვევს გერმანიის ოთხივე ზონის გაერთიანებას.

ამრიგად, აჩესონმა გასაგებად თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა თუ განზრახული არა აქვთ მოსპონ დასავლეთ გერმანიაში გამთიშველი მოქმედების შედეგები, არამედ, პირიქით, პრეტენზიას აცხადებენ მთელ გერმანიაზე გაავრცელონ მათ მიერ იქ შექმნილი რეჟიმი.

აჩესონი შეეხო საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს და განაცხადა, რომ ამ წინადადებებმა მას „იმედი გაუცრუეს". მან გაილაშქრა იმ წინადადებების წინააღმდეგ, რომ გერმანიაში ძველ საფუძველზე აღდგენილ იქნას საკონტროლო საბჭოს საქმიანობა, და განაცხადა, რომ ასეთი ნაბიჯი თითქოს გამოიწვევდა იმას, რომ „გაჯანსაღების გზაზე მდგომი ავადმყოფი კვლავ სრული დამბლის მდგომარეობაში ჩავარდებოდა".

აჩესონი შეეხო საბჭოთა წინადადებას სრუ-

...

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რ. შუმანის გამოსვლა

...

ნაცხადა, რომ „გერმანიაში სამოკავშირეო საკონტროლო საბჭოს აღდგენა საკითხის გადაწყვეტა როდია" და რომ ასეთი გადაწყვეტა ვითომდა იქნებოდა „უკან გადადგმული ნაბიჯი".

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი შუმანმა მიუძღვნა გერმანიის ორ ნაწილად გათიშვის ისტორიის გადმოცემას, ამასთან იგი გულმოდგინედ არიდებდა თავს გათიშვის მიზეზების რაიმე დამოწმებას.

— პოტსდამში, — ამბობდა შუმანი, — გათვალისწინებული იყო ყველა ზომა, რათა აღდგენილიყო ერთიანი გერმანია, მაგრამ შემდეგ, როცა დაიწყო პოტსდამის პოლიტიკის განხორციელება, აღმოჩნდა და გამოირკვა ზოგიერთი უთანხმოება...

ვერავინ შენიშნა (?) უთანხმოებათა ღრმა ხასიათი, მაგრამ როცა შეუდგნენ პოტსდამის შეთანხმებით გათვალისწინებულ ცენტრალურ ადმინისტრაციულ ორგანოთა შექმნის საკითხის განხილვას, როცა 1947 წლის აპრილში მოსკოვში დაიწყეს ამასთან დაკავშირებული პრობლე-

...

რაში არსებული წინააღმდეგობის მთელი სიღრმე.

იგივე სიძნელეები და უთანხმოება წარმოიშვა სამოკავშირეო საკონტროლო საბჭოშიც. ამის შედეგად 1948 წლის მარტში საკონტროლო საბჭომ შეაჩერა თავისი ფუნქციების განხორციელება.

შუმანმა თავი აარიდა პასუხს კითხვაზე, თუ ვინ არის დამნაშავე ყოველივე ამაში, და ისეთივე გაურკვეველი ფორმით განაცხადა: „მოკავშირეთა სერიოზული გაუგებრობა გამომდინარეობს გერმანიის ერთიანობის კონცეფციის სხვადასხვა განსაზღვრიდან".

თავისი გამოსვლის დასასრულს შუმანმა „კონკრეტული და დადებითი ამოცანის" სახით წამოაყენა შემდეგი ბუნდოვანი დებულება:

— ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ საჭიროა შეიქმნას ცენტრალური პოლიტიკური სტრუქტურა, მაგრამ იგი განსაზღვრულ უნდა იქნას ისეთი პირობებით, რომლებიც არსებობენ მის განსახორციელებლად.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ბევინის გამოსვლა

დღევანდელ სხდომაზე უკანასკნელად გამოსულმა ბ-ნმა ბევინმა განაცხადა, რომ „ბრიტანეთის მთავრობა ყოველთვის ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ სავსებით დაეჭირა მხარი იმ პირობებისათვის, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო პოტსდამის შეთანხმებაში". ბიზონიის შექმნაში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობას იგი ამართლებდა იმით, რომ „გერმანიის ადგილობრივი რესურსები თანაბრად არ არის განაწილებული სხვადასხვა ზონას შორის და რომ ამის გამო დიდი ბრიტანეთი ვითომდა იძულებული იყო უდიდესი ხარჯები გაეღო ინგლისის ჯარების მიერ ოკუპირებული ზონის აღდგენისა და შენახვისათვის.

ბევინმა თქვა, რომ ბიზონიის შექმნამ თითქოს „დიდი წვლილი შეიტანა ევროპის სტაბილიზაციის საქმეში".

ბევინი შეეხო სრულიად გერმანიის მთავრობის საკითხს და სინანული გამოთქვა, რომ ძირითადი საკითხები, რომლებიც ასეთი მთავრობის შექმნას ეხება, შეუთანხმებელი დარჩა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვისა და ლონდონის სესიების დროს.

— ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია,—თქვა ბევინმა,—

უმოკლეს ვადაში შევქმნათ გერმანიის ცენტრალური მთავრობა. ეს მთავრობა უნდა იყოს თავისუფლად არჩეული მთავრობა. იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ჩარევისაგან და სამოკავშირეო კონტროლი თანდათანობით უნდა შემცირდეს იმ მოცულობამდე, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ უშიშროებას.

ამრიგად, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თითქოს აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ ლიკვიდირებულ იქნას გერმანიის გათიშვა, რაც გამოწვეულია დასავლეთი სახელმწიფოების სეპარატული მოქმედებით. მაგრამ ბევინმა იქვე განაცხადა:

—მე არ მსურს დავუბრუნდე წარსულს, ვფიქრობ ჩვენ ახლა ვიმყოფებით გარკვეულ სტადიაში, და ჩვენ ეს მდგომარეობა უნდა მივიღოთ როგორც გამოსავალი ჩვენს მომავალ მუშაობაში...

ჩვენ გვსურს წინ წავიდეთ იმ წერტილიდან, სადაც ამჟამად ვიმყოფებით.

* * *

ხვალ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო განაგრძობს დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას.

* * *

პარიზი, 25 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს შედგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მესამე სხდომა ა. ი. ვიშინსკის თავმჯდომარეობით.

გრძელდებოდა დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვა. მინისტრთა საბჭოს 24 მაისის სხდომაზე ბ-ნ აჩესონის, შუმანისა და ბევინის გამოსვლების საპასუხოდ გამოვიდა ა. ი. ვიშინსკი.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

დღეს მე მსურს მოკლედ ვუპასუხო იმ შენიშვნებზე, რომლებიც გუშინ გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა იმ წინადადებათა გამო, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს განსახილველად შემოიტანა საბჭოთა დელეგაციამ.

ვფიქრობ არსებობს ყველა საფუძველი აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბ-ნი აჩესონიც, ბ-ნი შუმანიც და ბ-ნი ბევინიც თავიანთ გუშინდელ გამოსვლებში ემყარებოდნენ პოტსდამის შეთან-

...

დასავლეთ გერმანიაში ყველა ორგანო კი არ მოქმედებს კანონების საფუძველზე, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებზე, არამედ მხოლოდ ბევრი ორგანო.

ამ შენიშვნას, რასაკვირველია, მცირე მნიშვნელობა როდი აქვს, ვინაიდან არსებითი კორექტივი შეაქვს გერმანიის ოკუპაციის დასავლეთი ზონების მდგომარეობის ოპტიმისტურ სურათში. ბ-ნ აჩესონის შენიშვნა ძალიან დროული იყო, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ ზოგიერთ ფაქტს, რასაც ...

...

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

გერმანიის ერთიანობის პრობლემის განხილვა

(დასასრული)

ხორციელებინა და უზრუნველეყო ოთხი სახელმწიფოს თანამშრომლობა, უნარი არ შესწევდა მოემზადებინა გერმანიის ერთიანობა, რაც მის კომპეტენციაში შედიოდა პოტსდამის შეთანხმების შესაბამისად. ამრიგად, მთავარი რაზედაც მსურდა ყურადღება მიმექცია ეს ის არის, რომ ბ-ნმა შუმანმა აგრეთვე დაადასტურა, რომ საჭიროა გერმანიის საკითხის გადაწყვეტაში დავემყაროთ პოტსდამის შეთანხმებებს.

რაც შეეხება ბ-ნ ბევინს, აქ მან პირდაპირ განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა—მომყავს ციტატი რუსული სტენოგრამიდან—„ყოველთვის მიმართავდა ყოველგვარ ღონისძიებას იმისათვის, რომ მთლიანად დაეცვა ის პირობები, რომლებიც პოტსდამის შეთანხმებით იყო დადგენილი 1945 წელს". ბ-ნმა ბევინმა აქვე დაიმოწმა პოტსდამის გადაწყვეტილებათა მე-15 პარაგრაფის „C" პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა დამყარდეს სამოკავშირეო კონტროლი ზონებს შორის ძირითადი საგნების თანაბარი განაწილების უზრუნველყოფისათვის, რათა შეიქმნას დაბალანსებული ეკონომიკა მთელ გერმანიაში და შემცირდეს იმპორტის საჭიროება. გაუგებარი რჩება მხოლოდ ის, თუ რატომ გამოჰყო ბ-ნმა ბევინმა „C" პუნქტი მთელი მე-15 პარაგრაფიდან და თითქოს მნიშვნელობა არ მისცა ამ პარაგრაფის სხვა პუნქტებს? რატომ, კერძოდ, მან არ გაიხსენა იმავე მე-15 პარაგრაფის „a" პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა შესრულდეს გერმანიის ინდუსტრიული განიარაღებისა და დემილიტარიზაციის პროგრამა, ან იმავე პარაგრაფის „d" პუნქტი, სადაც ნათქვამია კონტროლზე გერმანიის მრეწველობისადმი და ყველა ეკონომიური და საფინანსო საერთაშორისო გარიგებისადმი, ექსპორტისა და იმპორტის ჩათვლით, რათა ალკვეთილ იქნას გერმანიის სამხედრო პოტენციალის განვითარება და გადაწყვეტილ იქნას სხვა ამოცანები, რომლებიც აღნიშნულია ამ შეთანხმებაში. ამავე დროს ეს მნიშვნელოვანი პუნქტებია და თითქოს საჭირო იყო ლაპარაკი არა მარტო „C" პუნქტზე, არამედ მთელ მე-15 პარაგრაფზე, არ ყოფილიყო დავიწყებული არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებსაც აქტუალური მნიშვნელობა აქვთ. სწორედ ამიტომ ბ-ნმა ბევინმა არ დაიმოწმა აგრეთვე მე-14 პარაგრაფი, რომელშიც ნათქვამია, რომ „ოკუპაციის პერიოდში გერმანია განხილულ იქნება როგორც ეკონომიურად მთლიანი ერთეული", არც პოტსდამის შეთანხმების ამ ძალიან მნიშვნელოვანი კარის სხვა პარაგრაფები, რომლითაც დადგენილია მაოკუპირებელ სახელმწიფოთა პოლიტიკის ეკონომიური პრინციპები გერმანიის მიმართ.

როგორც უნდა იყოს, სამივე ოპონენტმა — ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, თავიანთ გუშინდელ გამოსვლებს საფუძვლად დაუდეს იმის აღიარება, რომ მათთვის და მათი მთავრობების პოლიტიკისათვის გერმანიის მიმართ სავალდებულოა პოტსდამის შეთანხმებით დადგენილი პრინციპები. მაგრამ მათ გუშინდელ თავიანთ გამოსვლებში გვერდი აუარეს პოტსდამის შეთანხმებათა ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, როგორიცაა ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის პრინციპები, თუმცა სწორედ ეს საკითხი დგას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ამ სესიის დღის წესრიგში და სწორედ ეს საკითხი უნდა განვიხილოთ ჩვენ. უფრო მეტიც, მათ განაცხადეს, რომ გერმანიის ერთიანობის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, რომ გერმანია, როგორც გუშინ ბ-ნი აჩესონი ამბობდა, „სრულიად ავტომატურად დაიშალა ცალკეულ უჯრედებად". როგორც გუშინ ბ-ნი აჩესონი ამბობდა, ამ დაშლას ასევე ავტომატურად მოჰყვა აღდგენის პროცესი—ჯერ შეიქმნა ბიზონია, შემდეგ ტრიზონია და, როგორც ბ-ნმა აჩესონმა განმარტა, ყოველივე ეს მოხდა იმის შედეგად, რომ „შეუძლებელია გვქონდეს ერთიანი გერმანია".

ასეთ განმარტებას საბჭოთა დელეგაცია ვერ დაეთანხმება. ასეთ განმარტებაში ყველაფერი რიგზე როდია. მართლაც, თუ შეუძლებელია გვქონდეს ერთიანი გერმანია, თუ შეუძლებელია გვქონდეს გერმანიის ერთიანობა, ის ერთიანობა, რომელიც მინისტრების საბჭოს განხილვის საგანს წარმოადგენს, საკითხავია, როგორ მოვექცეთ პოტსდამის შეთანხმებათა პრინციპებს, რომლებსაც გუშინ იმოწმებდნენ აჩესონიც და დასავლეთ სახელმწიფოების დანარჩენი მინისტრებიც, როგორც ვითომდა უცილობელ და სავალდებულო სახელმძღვანელოს თავიანთ პოლიტიკაში გერმანიის მიმართ. აქ აშკარა წინააღმდეგობაა, რომლის აღმოფხვრაც შეიძლება მხოლოდ პოტსდამის შეთანხმების პრინციპების დაცვით.

უფრო მართალი არც ბ-ნი შუმანია, რომელმაც გერმანიის გათიშვა გუშინ ახსნა არა „უჯრედებად გერმანიის ავტომატური დაშლის" თეორიით, არამედ იმით, როგორც მან თქვა,—მე კვლავ ვსარგებლობ რუსული სტენოგრამით,—რომ „ზოგიერთმა სახელმწიფომ თავი ვერ აარიდა ცდუნებას".

ყველა ეს მსჯელობა ალბათ იმიტომ იყო საჭირო, რომ დაესაბუთებინათ გალაშქრება გერმანიაში სამოკავშირეო საკონტროლო საბჭოს აღდგენის წინააღმდეგ. ბ-ნმა შუმანმა გუშინ თქვა, რომ გერმანიაში სამოკავშირეო საკონტროლო საბჭოს აღდგენა არ წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტას, ხოლო ბ-ნმა აჩესონმა ოთხმხრივი კონტროლის აღდგენას უკან გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

ხომ არ უნდა გავიგოთ ეს ისე, რომ კონტროლი დროული არ არის, რომ მაშასადამე ახლა შეუძლებელია ლაპარაკი კონტროლის აღდგენაზე იმიტომ, რომ, როგორც აქ გუშინ ამბობდნენ, ეს იქნებოდა უკან გადადგმული ნაბიჯი? მაშ რით ავხსნათ, რომ 1949 წლის აპრილში ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება გერმანიაში სამმხრივი კონტროლის შესახებ, რომელმაც დაადგინა, რომ იმოქმედებს უმაღლესი კომისია (ამ კომისიას ასე უწოდეს შეთანხმების ავტორებმა) ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებისაგან თითო სახელმწიფოსაგან თითო უმაღლესი კომისრის შემადგენლობით, და რომ იგი იქნება კონტროლის უმაღლესი სამოკავშირეო ორგანო. ამ შეთანხმების მთელი რიგი პუნქტები მიძღვნილია ამ კონტროლისადმი.

ამრიგად, გამოდის, რომ სამმხრივი კონტროლი დროულია, ხოლო ოთხმხრივი—დროული არ არის. გამოდის, რომ სამმხრივი კონტროლი წინ გადადგმული ნაბიჯია, ხოლო ოთხმხრივი კონტროლი—უკან გადადგმული ნაბიჯი.

რას ნიშნავს ეს? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ როცა ლაპარაკობენ სამოკავშირეო საკონტროლო საბჭოს ოთხმხრივ საფუძველზე აღდგენის არათანადროულობასა და მიზანშეუწონლობაზე, არსებითად გამოდიან სწორედ ოთხმხრივი კონტროლის წინააღმდეგ, ე. ი. საბჭოთა კავშირის მონაწილეობით კონტროლის წინააღმდეგ? ყველაფერ ამას თუ გავშიფრავთ, გამოდის ასე: ჩვენ განვახორციელებთ კონტროლს საბჭოთა კავშირის გარეშე, საბჭოთა კავშირთან ჩვენ არ გვსურს კონტროლის განხორციელება. სწორია თუ არა დასავლეთის დელეგაციათა პოზიციის გაშიფრვა? თუ ეს სწორია, მაშინ ამაოა ლაპარაკი ერთიანობაზე.

აი ამიტომ საბჭოთა დელეგაცია ვერასგზით ვერ ცნობს დამაჯერებლად იმ საბუთებს, რომლებიც აქ წამოაყენეს ჩვენი წინადადებების წინააღმდეგ, რომ აღდგენილიყო საკონტროლო საბჭოს საქმიანობა ოთხმხრივ საფუძველზე. რასაკვირველია, შეუძლიათ თქვან—ჩვენ თანახმანი არა ვართ აღვადგინოთ საკონტროლო საბჭოს საქმიანობა იმიტომ, რომ საკონტროლო საბჭოში გადაწყვეტილებანი მიღებულ უნდა იქნას არა ხმის უმრავლესობით, არამედ ერთხმივობის პრინციპით. ეს ჩვენ ხელფეხს გვიბორკავს, ეს ჩვენთვის მიუღებელიაო. მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ვაშინგტონის შეთანხმებაშიც სამმხრივი კონტროლის შესახებ, გათვალისწინებულია ერთხმივი გადაწყვეტილება მთელ რიგ საკითხებზე. ამიტომ ასეთი მოსაზრება საბჭოთა დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ საკონტროლო საბჭოს საქმიანობის აღდგენის შესახებ არავის დააკმაყოფილებს.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით აღდგენილ იქნას საკონტროლო საბჭოს საქმიანობა წინანდელ საფუძველზე, ე. ი. პოტსდამის შეთანხმების საფუძველზე, ე. ი. სწორედ იმ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც აქ გუშინ დაადასტურა სამივე მინისტრმა—ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მინისტრებმა.

დღეს მე ვსარგებლობ ჩემთვის მონიჭებული შესაძლებლობით, რომ განვამტკიცო ჩემი გუშინდელი მოსაზრებანი დამატებითი მოსაზრებებით ჩვენი წინადადების სასარგებლოდ.

გადავდივარ სხვა საკითხებზე. გუშინ ჩვენ აქ მოვისმინეთ მითითება იმაზე, რომ ბიზონიისა და ტრიზონიის შექმნა პროგრესული მოვლენაა გერმანიის ერთიანობის უზრუნველყოფის საქმეში. მაგრამ თუ მართლა ვისწრაფვით გერმანიის ცენტრალური მთავრობის შექმნისაკენ, რაზედაც გუშინ ბ-ნმა ბევინმა ილაპარაკა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ხელისუფლების ბიზონალური თუ ტრიზონალური სისტემის შექმნის დამთავრება ნაკლებ შესაფერი საშუალებაა სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის გასაადვილებლად.

ბ-ნი აჩესონი, როგორც გუშინ შეიძლებოდა მისი გაგება, უარყოფითად ეპყრობა საბჭოთა დელეგაციის წინადადებას სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ. მე უნდა გაგახსენოთ საბჭოთა დელეგაციის ეს წინადადება სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში ამჟამად არსებული გერმანიის ეკონომიური ორგანოების საფუძველზე შეიქმნას სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭო, როგორც გერმანიის ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრი მთავრობის ფუნქციებით ეკონომიურ და სახელმწიფო მშენებლობის ზემოაღნიშნულ დარგებში, საკონტროლო საბჭოს უმაღლესი ხელისუფლების შენარჩუნებით.

ამ წინადადებას ბ-ნი აჩესონი განიხილავს როგორც უკან გადადგმულ ნაბიჯს. ასეა თუ არა სინამდვილეში? საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ეს ასე არ არის, რომ ეს უკან გადადგმული ნაბიჯი არ არის. სინამდვილეში საბჭოთა დელეგაციის წინადადება—შეიქმნას სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭო, წინ გადადგმული ნაბიჯია გერმანიის ერთიანობის დამყარების გზაზე.

მართლაც, განა შეიძლება განხორციელდეს გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობა გერმანიის ერთიანი ცენტრალური ორგანოს შეუქმნელად? სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭო უნდა გახდეს ახლანდელ პირობებში გერმანიის ისეთი ერთიანი ცენტრალური ორგანო მთავრობის ფუნქციებით, რომლის გამგებლობაშიც იქნება ეკონომიური და სახელმწიფო მშენებლობის საკითხები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მთელი გერმანიისათვის, და შენარჩუნებულ უნდა იქნას საკონტროლო საბჭოს უმაღლესი ხელისუფლება.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს შევეკითხო ჩემს კოლეგებს — არის თუ არა ასეთი ორგანო ამჟამად, არის თუ არა ორგანო, რომელიც ამჟამად სრულიად გერმანიის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს? თქვენ არ შეგიძლიათ თქვათ, რომ ასეთი ორგანო არის იმიტომ, რომ იგი სინამდვილეში არ არის. ასეთ შემთხვევაში, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ სრულიად გერმანიის ასეთი ცენტრალური ორგანოს შექმნა უკან გადადგმული ნაბიჯია? ჩვენ გვეუბნებიან,—ეს უკან გადადგმული ნაბიჯია იმიტომ, რომ ჩვენ დასავლეთში, უფრო შორს წავედითო. მაგრამ ვიმეორებ: დასავლეთში არ არის სრულიად გერმანიის ცენტრალური ორგანო და ამიტომ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ დასავლეთში უფრო შორს წავიდნენ. უფრო მეტიც, დასავლეთში, როგორც ყველასათვის კარგად არის ცნობილი, დგამენ ნაბიჯებს სწორედ არა ასეთი სრულიად გერმანიის ცენტრალური ორგანოს შექმნისაკენ, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით—სრულიად გერმანიის ცენტრალური ორგანოს შექმნიდან ხელისუფლების ზონალური ორგანოების შექმნისაკენ, როგორც უნდა ვუწოდოთ მათ, — ბიზონალური იქნება ეს ორგანოები თუ ტრიზონალური, ისინი მაინც ზონალური ორგანოებია.

აი ამიტომ საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ მისი წინადადება—შეიქმნას სრულიად გერმანიის ცენტრალური ორგანო ზემოაღნიშნულ საფუძველზე და ზემოაღნიშნული ფუნქციებით,—სინამდვილეში წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს, ყოველ შემთხვევაში, გააადვილოს, გერმანიის ერთიანობა ეკონომიურად და პოლიტიკურად.

გუშინ აქ ლაპარაკობდნენ, რომ არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რაც უკვე არსებობს, რომ უნდა ვემყარებოდეთ რეალურს. თუ ეს საყვედური საბჭოთა დელეგაციას ეხება, მაშინ ეს უსამართლო საყვედურია. საბჭოთა დელეგაციის ამ წინადადებათა მეორე პარაგრაფის „a" პუნქტში, რომლებიც გუშინ წარედგინა მინისტრების საბჭოს, ხომ სავსებით გარკვევით არის ნათქვამი—„შეიქმნას აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში ამჟამად არსებული გერმანიის ეკონომიური ორგანოების საფუძველზე სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭო" და ა. შ.

ამიტომ სწორი არ იქნებოდა საქმე ისე წარმოგვედგინა, თითქოს საბჭოთა დელეგაცია ანგარიშს არ უწევს რეალურ მდგომარეობას, რის შესახებაც გუშინ იყო აქ ნათქვამი; თითქოს საბჭოთა დელეგაციის წინადადება წარმოადგენს მოწოდებას დავუბრუნდეთ წარსულს, თითქოს იგი უკან გადადგმული ნაბიჯია.

გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის და მისი განხორციელების პირობების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენი რწმენით, საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოტანილი წინადადებანი რეალური და ნამდვილი ნაბიჯია წინ გერმანიის ერთიანობის უზრუნველყოფის გზაზე. აი ამიტომ საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს იმ წინადადებებს, რომლებიც მან შემოიტანა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში გუშინდელ სხდომაზე.

* * *

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აჩესონი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შუმანი და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბევინი. ანგარიში ამ გამოსვლების შესახებ გამოქვეყნდება ხვალინდელ გაზეთში.

გერმანიის მესამე სახალხო კონგრესისათვის დასავლეთ გერმანიის დელეგატების არჩევნები

ბერლინი, 25 მაისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო კილიდან იუწყება, შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის ქალაქებში შედგა გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის დელეგატების არჩევნები. ისეთმა დიდმა ქალაქებმა, როგორიცაა კილი, ფლენსბურგი, შლეზვიგი და ჰუსუმი, უკვე აირჩიეს თავიანთი დელეგატები.

რიმშვაილერის (ცვაიბრუკენის ახლოს) თემის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს თავიანთი ბურგომისტრი გაგზავნონ გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის დელეგატად. თემის მცხოვრებთა კრებებზე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი სრულიად გერმანიის ინტერესებისადმი მტრული ბონის „კონსტიტუციის" მიღების წინააღმდეგ. დასასრულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ მივესალმებით გერმანიის სახალხო საბჭოს მისწრაფებას აღმოფხვრას ჩვენი სამშობლოს გათიშვა და კვლავ მთლიან გერმანიაში გააერთიანოს მთელი გერმანელი ხალხი".

როგორც ადნის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს, რაისჰოლცის (დიუსელდორფის ახლოს) მილსაგლინავი ქარხნის კოლექტივმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მიესალმება სატრანსპორტო შეზღუდვათა გაუქმებას და გერმანიის ერთიანობის აღდგენის იმედს გამოთქვამს. მუშები მოითხოვენ ინგლისის ზონის გერმანული პროფკავშირების ხელმძღვანელობისაგან დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტაქტი საბჭოთა ზონის თავისუფალ გერმანულ პროფკავშირთა გაერთიანებასთან, რათა პროფკავშირთა ერთიანობა აღდგენილ იქნას მთელ გერმანიაში.

ადნის სააგენტო ქალაქ ფიურტიდან გადმოგვცემს: 23 მაისს აქ შედგა გადასახლებულთა და ომით დაზარალებულ პირთა მასობრივი მიტინგი. მიტინგმა ჩაიარა ეროვნული ერთიანობის აღსადგენად ბრძოლისათვის გერმანიის ყველა დემოკრატიული ძალების გაერთიანების ლოზუნგით. შეკრებილებმა დაადგინეს აირჩიონ გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის სამი დელეგატი. დახაუს გადასახლებულთა ბანაკის ხელმძღვანელმა ეგონ გერმანმა მკვეთრად გაილაშქრა გადასახლებულთა მიმართ ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა და ბავარიის მთავრობის ანტიდემოკრატიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

იტალიის კომუნისტებისა და სოციალისტების გამარჯვება ვიარეჯოსა და პიეტრალუნგას მუნიციპალურ არჩევნებში

რომი, 25 მაისი. (საკდესი). ვიარეჯოში (ლუკას პროვინცია) შედგა მუნიციპალური არჩევნები იმ მუნიციპალური საბჭოს ხელახლა ასარჩევად, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა შელბამ თვითნებურად დაითხოვა გასული წლის 14-16 ივლისის საყოველთაო გაფიცვის შემდეგ.

კომუნისტებისა და სოციალისტების სიამ ამ არჩევნებში მიიღო 10.442 ხმა, ქრისტიანმა დემოკრატებმა — 10.272, დამოუკიდებლებმა — 1.254, რესპუბლიკელებმა—522, სარაგატელებმა—526. ახალი მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში არჩეულია 19 სოციალისტი და კომუნისტი, 19 ქრისტიანი დემოკრატი და 2 დამოუკიდებელი.

გასული წლის 18 აპრილის არჩევნების დროს ქრისტიანმა დემოკრატებმა მიიღეს 11.670 ხმა, სახალხო დემოკრატიულმა ფრონტმა—9.855 ხმა, სარაგატელებმა — 1.476, რესპუბლიკელებმა — 766.

უკანასკნელ არჩევნებში ქრისტიანმა დემოკრატებმა 1.400 ხმა დაკარგეს.

22 მაისს არჩევნები მოხდა აგრეთვე პიეტრალუნგას კომუნაში (პერუჯის პროვინცია). კომუნისტებისა და სოციალისტების სიამ მიიღო 1.256 ხმა, ქრისტიანი დემოკრატების, რესპუბლიკელებისა და „იტალიის სოციალური მოძრაობის" გაერთიანებულმა სიამ 909 ხმა მიიღო.

სამხედრო დამნაშავე რიუტი გაათავისუფლეს

ჰელსინკი, 19 მაისი. (საკდესი). როგორც ჰელსინკის რადიო იუწყება, ფინეთის პრეზიდენტმა განკარგულება გასცა სამხედრო დამნაშავე რიუტის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო". რიუტი ფინეთის პრეზიდენტი იყო 1940-დან 1944 წლამდე და პასუხისმგებელია ფინეთის ჩაბმისათვის ომში ჰიტლერული გერმანიის მხარეზე.

სოფელ დიზში

ზემო სვანეთი. (საკ. კორ.). სოფელი დიზი რაიონული ცენტრიდან 50 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. 1946 წელს აქ მაღალხარისხოვანი თეთრი მარმარილოს საბადო აღმოაჩინეს და მისი წარმოებაც დაიწყეს. 2-3 წლის მანძილზე დიზი განახლდა. აქ აიგო კანტორის ორსართულიანი კაპიტალური შენობა, მუშათა საცხოვრებელი, გაიხსნა კლუბი და ბიბლიოთეკა, დაირგო ძვირფასი მწვანე ხეები. დიზის მცხოვრებნი მალე 50 ცხენის ძალის ელსადგურის მშენებლობასაც დაამთავრებენ.

ახალი საავადმყოფო

ქუთაისი. (საკ. კორ.). წერეთლის ქუჩაზე შენდება 200-საწოლიანი საავადმყოფო. საავადმყოფოს ექნება თერაპიული, ქირურგიული და ბავშვთა განყოფილებანი, აგრეთვე რენტგენის კაბინეტი და ლაბორატორია.

საავადმყოფოს ასაგებად დაიხარჯება 4 მილიონი მანეთი.

წაღვერის სანატორიუმი სეზონისათვის ემზადება

ბორჯომი. (საკ. კორ.). საკავშირო პროფსაბჭოს წაღვერის სანატორიუმში საკურორტო სეზონის გახსნისათვის მზადებასთან დაკავშირებით შენდება ახალი კლუბი, რომელიც 300 მაყურებელს დაიტევს. ეწყობა რადიოსადგური, რაც უზრუნველყოფს 400 რადიოწერტის მუშაობას. კეთდება აგრეთვე მოედანი მზის აბაზანების მისაღებად, რომელიც თავისი სიდიდითა და მოწყობილობით სანიმუშო იქნება ბორჯომის რაიონში.

ბაზალეთის ტბის კეთილმოწყობა

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრიდან 4 კილომეტრზე მდებარეობს ბაზალეთის ტბა. რაიონის მშრომელთა მონაწილეობით წელს დიდი მუშაობა ჩატარდა ტბის ნაპირების გასამწვანებლად. ნაპირი ჯაგნარისაგან გაწმინდეს და 12.000 ძირი ალვისხე, კაკალი და ცაცხვი დარგეს. ეს სამუშაო, რომელსაც „ტყის მეგობრის" რაიონული საბჭო ხელმძღვანელობს, კვლავ გრძელდება და ახლო ხანში ტბისპირა ადგილები მცენარეულობით დაიფარება. აქვე მოეწყობა სანაოსნო და წყალჯომარდობის სადგური. მალე ბაზალეთის ტბის მიდამოები მშრომელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილად გადაიქცევა.

კოლმეურნეები ახალ სახლებს იშენებენ

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონში ფართოდაა გაშლილი საკოლმეურნეო სახლების მშენებლობა. მიმდინარე წლის სამ თვეში აგებულია 25 ახალი, კეთილმოწყობილი ბინა. კოხტა ოდები აიშენეს სოფელ ოთის ტელმანის სახელობის, ოშორის ვანო სტურუას სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა: პ. მარუაშვილმა, გ. კაკოჩაშვილმა, გ. ნემსაძემ, ს. ნემსაძემ და სხვებმა.

წლის დამლევამდე რაიონის კოლმეურნეობების წევრები აიგებენ 270 ახალ საცხოვრებელ ბინას. მთავრობა მათ მშენებლობისათვის გრძელვადიან კრედიტს აძლევს.

ბ. ბ. ჩოჩუა

გარდაიცვალა ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის მოადგილე მშენებლობის დარგში ბორის ბეგლარის-ძე ჩოჩუა. მეშახტეთა რიგებს გამოაკლდა კარგი ხელმძღვანელი-ბოლშევიკი და საზოგადო მუშაკი.

1936-დან 1946 წლამდე ამხ. ჩოჩუა მუშაობდა აზერბაიჯანისა და საქართველოს რკინიგზის ახალი ხაზებისა და ნაგებობათა მშენებლობაზე. 1946 წელს იგი დაინიშნა ტყიბულქვანახშირის ტრესტის საწარმოთა მშენებლობის დირექტორად, ხოლო ერთი წლის შემდეგ ამავე ტრესტის მმართველის მოადგილედ მშენებლობის დარგში.

თავისი მდიდარი გამოცდილება, ცოდნა და ენერგია ამხ. ჩოჩუამ მოახმარა საწარმოო ობიექტებისა და მეშახტეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საქმეს. ქვანახშირის მრეწველობის სისტემაში ხანმოკლე მუშაობის მიუხედავად, მან ავტორიტეტი და პატივისცემა მოიხვეჭა. თავდადებული და საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, იგი მუდამ გულისხმიერი იყო თანამშრომლებისადმი.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს ამხ. ჩოჩუას დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-45 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის", საპატიო რკინიგზელისა და ფრიადოსანი მშენებლის ნიშნით.

ნიჭიერი ხელმძღვანელისა და ბოლშევიკის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის ამხანაგებსა და მეგობრებში.

ბ. გუჯეჯიანი, ე. ჯვებენავა, ნ. ტყემალაძე, ი. მეხრიშვილი, ა. ვარდიშვილი, შ. ცირეკიძე, ვ. აბესაძე, ბ. ქელიშვილი, ვ. შავგულიძე, ს. შარია, ვ. ჯაში, დ. ბრეგვაძე, ფ. ნაჭყებია, ვ. გოცირიძე, ა. ახათიანი, გ. ბედდასაროვი, ლ. რატიანი, ქ. თათარიშვილი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

25 მაისს ქ. სტალინოში შედგა მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შახტიორისა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:2.

თბილისელებს 9 თამაშის შემდეგ აქვთ 10 ქულა. 29 მაისს ისინი მორიგ მატჩში შეხვდებიან მოსკოვის „დინამოს" გუნდს. თამაში შედგება თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

ახალი წიგნი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ გამოსცა ა. ხარაბაძის „მათემატიკის მეთოდიკის კერძო კურსი". წიგნი გაგრძელებაა ამავე ავტორის შრომისა „მათემატიკის მეთოდიკის ზოგადი კურსი". წიგნი შედგება ოთხი განყოფილებისაგან (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია). თვითეულ მათგანში გარჩეულია მათემატიკის ძირითადი საკითხები და მათი დამუშავების მეთოდები.

ნაშრომი განკუთვნილია პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისა და საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის.

სასამართლო ქრონიკა

ხულიგნობისათვის ნიკოლოზ ვასილის-ძე კოკორევს და მიკირტიჩ ხაჯანელის-ძე სარქისაშვილს თბილისის ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა: პირველს 3 წლის, მეორეს ერთი წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ქურდობისათვის ვალენტინა (იგივე მარიამ) თევდორეს ასულ შლინსკაიას, რომელმაც თბილისში ჩამოსულ ლაგოდეხელ კოლმეურნე ცერცვაძეს სამართებლით გაუჭრა საფულე და ამოაცალა 500 მანეთი, სახალხო სასამართლომ მიუსაჯა შრომა-გასწორების ბანაკში 7 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	27-V „ჩიო-ჩიო-სან" 2,3 აბ. 14 წარმ. 28-V „ტრავიატა" 10 აბ. 13 წარმ. შ. ვაშალომიძის პირველი გამოსვლა ალფრედის როლში
რუსთაველის სახელობის	27-V „მეფე ლირი" 16 აბ. 10 წარმ. 28-V „იმათ ჩხარეში" 20 აბ. 9 წარმ.
მარჯანიშვილის სახელობის	27-V „რომეო და ჯულიეტა" აბ. გარეშე 28-V „მოსკოვური ხასიათი" 3 აბ. 9 წარმ.
მუსიკალური კომედიის	27-V „სამთა სიყვარული" აბ. გარეშე 28-V „ბაიადერა" 5 აბ. 10 წარმ.
მოზარდ მაყურებელთა ქართული	27-V „ტყის პირას" 62, 63 აბ. 6 ს. 28-V „ტყის პირას" 32, 52 აბ. 6 ს.

მოქალაქე ვახტანგ ალექსანდრეს-ძე კოდანაშვილმა, მცხოვრებმა გორის ქ. № 26, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ანა დავითის ასულ შუბაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 8 ივნისს, დღის 3 საათზე, № 25 აუდიტორიაში (მესამე კორპუსი, მარის ქ. № 1) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სოფიო დიომიდეს ასული გუმბერიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Plexus lumbalis suis ვარიაციული ფორმების საკითხისათვის".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ვ. როსტომბეგოვი, პროფესორი დოქტორი ი. მალაევი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 16 ივნისს, 13 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (სამოსწავლო შენობა № 2/4) სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე არქიტექტურის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბორის ნესტორის-ძე გოქაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საქართველოს კოლმეურნეობებში".

ოფიციალური ოპონენტები: არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი ი. პ. ყირქესალი და არქიტექტურის კანდიდატი, დოცენტი რ. ი. აგაბაბიანი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ყოველდღე ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (სამოსწავლო შენ. 2/4) 10-დან 17 1/2 საათამდე.

თანახმად სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1949 წლის 27 აპრილის ბრძანებისა № 324,

საქართველოს რესპუბლიკური ბაზა „სოიუზოპტბაკალეია" ლიკვიდირებულია. ლიკვიდაციის ვადად დადგენილია 1949 წლის 1 ივლისი. პრეტენზიებს ორგანიზაციებისა და პირებისაგან ა. წ. 10 ივნისამდე მიიღებს რწმუნებული. მისამართი: ქ. თბილისი, საბჭოს ქ. № 59-ბ.

ტყიბულშახტმშენის ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობის კოლექტივი იუწყება **ბორის ბეგლარის-ძე ჩოჩუას** გარდაცვალებას.

მეუღლე პაშა, შვილები გულნარა, დონარა, გურამ, ძმები აკაკი, ძუკუ, დები საშა, ლუბა ოჯახებით იუწყებიან **ბორის ბეგლარის-ძე ჩოჩუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-V, 8 ს. გამოსვენება 29-V, 3 ს. ბაქოს, 8.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომი იუწყება ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის მოადგილის **ბორის ბეგლარის-ძე ჩოჩუას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი—3-08-67, სამდივნო—3-06-88, განყოფილებები: ... მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომ...

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000